საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სახელმწიფო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 233 პარასკევი, ივნისის 30-ს 1922 წ.

## განცხადება.

### თანახმად ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ამა წლის მაისის 24-ს თვითეულ სამილიციო უბნებისათვის ინიშნება შემდეგი დღეები სადარაბო ქირის შემოსატანად ყოველ-თვიურად ამა წლის. დარაბების მეპატრონეებმა აუცილებლად უნდა შემოიტანონ სადარაბო ქირა ქალაქის სალაროში აღნიშნულ ვადებში.

| | | |
|---|---|---|
| 1 უბანი. | 28—29 | რიცხვში ყოველ თვისა. |
| 2 „ | 15,16 და 17 | „ „ „ |
| 3 „ | 18,19 და 20 | „ „ „ |
| 4 „ | 12,13 და 14 | „ „ „ |
| 5 „ | 8,9,10,11 | „ „ „ |
| 6 „ | 30 | „ „ „ |
| 7 „ | 21—22 | „ „ „ |
| 8 „ | 4,5,6,7 | „ „ „ |
| 9 „ | 1,2,3 | „ „ „ |
| 10 „ | 23,24,25 | „ „ „ |
| 11 „ | 26 | „ „ „ |
| 12 „ | 27 | „ „ „ |

ივლისის 1 დან სადარაბო გადასახადი იმ დარაბებზე, რომლებზედაც არ იყო მომატებული ხახით შეწერილი გადასახადი ამა წლის მაისის 1-ლიდან გადიდებული იქნება 50 პროცენტით.

ის მოიჯარადრეები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ შემოიტანენ საიჯარო გადასახადს, გადაიხდიან ჯარიმას 50-ათას მანეთს ყოველ გადაცილებულ დღეებზე. ის მეპატრონეები, რომლებიც გადააცილებენ 10 დღეს, კარგავენ უფლებას თავის დარაბაზე.

ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე:
თ. ღლონტი.

## ქალ. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 2 ივლის, დილით 12 საათზე, ალმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

| | |
|---|---|
| 1) ახლამი—გოგოლის ქ. № 85 | 6) პეტროგრადი—პლეხანოვ ქ. № 6 |
| 2) რომი—კოლანოვის ქ. № 3 | 7) ერმიტაჟი—პუშკინის ქ. № 29 |
| 3) მასიხ—სიონის ქ. № 8 | 8) რივიერა—დიდი მთავრის ქ № 1 |
| 4) ხაერო—ელისაბედის ქ. 25 | 9) კომერციული ნომრები—ირაკლის ქუჩა № 8 |
| 5) პორანე—თათრის მოედანი № 5 | |

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 3—1

## რეაქციის გათავხედება

ამ ჟამად გერმანიაში მეტად დიდია და სერიოზულ ამბებს აქვს ადგილი. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მკითხველი გაეცნობა იმ გათავხედებულ გამოსვლებს, რომელიც მონარქისტების ხელმძღვანელობით ხდება გერმანიის რესპუბლიკანურ სახელმწიფოში. რეაქციონური ძალების თავხედობა იქამდე მიდის, რომ იგი აღარ ერიდება არაფერს და აშკარად გამოდის რესპუბლიკანური წყობილების ჩამოსაგდებად. ძველი გენერლები, გერმანული იმპერიალისტური მუშტის ძველდებსი პიონერები, მაკენზენი, ჰინდენბურგი, ლუდენდორფი და სხვები, კვლავ გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე და სამხედრო ძალებით ნდომობენ გერმანიაში აღადგინონ მონარქიული წესწყობილება. გერმანია დღეს საშინელი რეაქციის ალში არის გახვეული და მას კვლავ მოელის შინაურ ძალთა შეტაკება და სისხლის ღვრანი.

აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ გათავხედებული რეაქცია ენერგიულად მიჰმართავს ტერორსა და ამ აქტების მსვერპლი ხდებიან, როგორც შემაგუებელ პარტიის წევრები, აგრეთვე კომუნისტები. ანარქისტებმა გადასწყვიტეს ტერორისტული აქტებით გაანადგურონ მოწინააღმდეგენი სწორედ ისე, როგორც რუსეთის ესერები ჩადიან ხოლმე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ამ გადაწყვეტილების მსხვერპლი შეიქმნა თანამედროვე გერმანიის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რატენაუ.

მაგრამ რეაქციის მთავარი ყურადღება მუშათა ორგანიზაციებისაკენ არის მიმართული. მთელ რიგ ქალაქებში ხდება რეაქციონერების თავდასხმა მუშათა ორგანიზაციებზე. რეაქციას დღეს კარგათ ესმის, თუ ვინ არის მისი მოსისხლე მტერი და მოწინააღმდეგე, ამიტომ ის მთელს თავის ენერგიას მუშათა ორგანიზაციების განადგურებისაკენ და მათი ბრძოლის უნარის მოსპობისაკენ მიჰმართავენ. ეს მომენტი არ ახასიათებს მარტო გერმან. რეაქციას; მთელს მსოფლიოში დღეს გაცხარებული შეტევა არის მუშათა კლასის მიმართ და სხვა და სხვა სახით გაბატონებული კლასები თავდასხმას აწარმოებენ მუშათა მასებზე. იტალიაში ეს თავდასხმა სისტემატიურს ხასიათს ღებულობს, იტალიის ფაშისტები ისეთსავე ბრძოლის მეთოდებს მიმართავენ, როგორც გერმანიის შავი მონარქისტების ორგანიზაცია—„ორგეში". აქ მათ შორის განსხვავება არ არის. დარბევა მუშათა ორგანიზაციისა, მისი ფიზიკური განადგურება უკიდურეს შემთხვევაში— აი რა ახასიათებს რეაქციონურს მოძრაობას დღეს. ფაშისტები იტალიაში, „ორგეშისტები" გერმანიაში ერთსა და იმავე ზომებს მიმართავენ. როგორც ბერლინის რადიო იუწყებოდა ჰამბურგში კომუნისტური ორგანიზაცია და სოციალისტური გამომცემლობანი ხუთჯერ შეიქმნენ რამოდენიმე დღის განმავლობაში ბომბებით თავდასხმის ობიექტი. ახლა რომის რადიოს მიაქციეთ ყურადღება 16 ივლისიდან: პიომბონაში ფაშისტებმა გაანადგურეს და დასწვეს მუშათა ორივე კამერა და სოციალისტური ტიპოგრაფია. ფლორენციაში მათ გაანადგურეს მუშათა კლუბი. გენუაში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის, უკანასკნელთ მიეხმარა პოლიცია. მრავალი კომუნისტი არის დაჭრილი.

ამ გვარად, როგორც ვხედავთ, დღეს მთელ ევროპაში ერთი და იგივე მეთოდების თავდასხმები ხდება მუშათა მასებზე. შავი რეაქცია ცდილობს მოსპოს ის დიდი ძალა, რომელიც მისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს.

დღევანდელი პერიოდი აუცილებლად მყვლეფელი კლასების თავდასხმით ხასიათდება: საერთაშორისო ომის დამთავრების პირველ პერიოდში ყოველი სახის რეაქცია თავდაცვით პოლიტიკას აწარმოებდა დიად რევოლიუციონურს მოძრაობისაგან. 1918—21 წლები გამოხატავდა რევოლიუციონური ენტუზიაზმისა და მუშათა კლასის დიდ აღმაფრენის. მთელს რიგს ქვეყნებში მოწინავე პროლეტარიატმა ასწია რევოლიუციონური დროშა და პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა მოინდომა. ამას ხელს უწყობდა მაშინდელი საერთაშორისო ობიექტიური პირობები და ის სუბიექტიური განცდა, რომელიც შეიქმნა მშრომელ მასებში ომის შედეგებით! ბურჟუაზიის მთელი ცდა ასეთს პირობებში მიმართული იყო იქითკენ, რომ როგორმე ძალა-უფლება შეენარჩუნებინათ. ამიტომ ამან დათმობის პოლიტიკასაც მიმართა და მასთანვე მიზანშეწონილად გამოიყენა მემარჯვენე სოციალისტები რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობად. მართლაც ბურჟუაზიას რომ არ დახმარებოდა მემარჯვენე სოციალისტები და მათ შორის არ ყოფილიყო პოლიტიკური კონტაქტი, დღეს მთელ რიგ სახელმწიფოებში ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში იქნებოდა და მსოფლიო რევოლიუციის საქმე სულ სხვა გვარ სახეს მიიღებდა. მაგრამ მემარჯვენე სოციალისტების დახმარება ევროპის კაპიტალისტებმა შესძლეს მიზანშეწონილად თავის დაცვა და დღეს თვით გადავიდნენ თავდასხმაზე. რევოლიუციონური ენტუზიაზმისა და პროლეტარული შეტევის პერიოდი რამდენიმედ წავიდა და ახლა საქმე გვაქვს კაპიტალისტების მხრით თავდასხმასთან შემოვლაზე. ეს თავდასხმა გამოიხატება, როგორც სამუშაო დროის გადიდებას, ხელფასის შემცირებასა, მშრომელთა კლასის გადასახადებით დაბეგვრის პოლიტიკაში, ისე შეიარაღებულ თავდასხმებში. ამიტომ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს გერმანიის კომპარტიის ცეკა თავის მოწოდებაში, რომ რეაქციის შეტევასა და კაპიტალის თავდასხმას შორის მჭიდრო კავშირი არისო.

მაგრამ გერმანიის ამბები სხვა მხრივაც არის დამახასიათებელი. აქ საინტერესო და დამაფიქრებელი არის არა მარტო ის, რომ მონარქისტები თავდასხმას აწარმოებენ მუშათა ორგანიზაციებზე, არამედ ისიც, რომ გერმანიაში შექმნილმა პოლიტიკურმა პირობებმა საშუალება მისცა „ორგეშის" პარტიას ლეგალური არსებობისა და ზრდისათვის, რაც აშკარა რეაქციონურ მოძრაობაში უნდა გადმოსკდეს. გერმანიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ თავისი პოლიტიკით და ლოიალური დამოკიდებულებით მემარჯვენეებისადმი გამოიწვია მონარქისტული რეაქციის გაძლიერება.

გერმანიამ სამი წლის განმავლობაში დიდი რევოლიუციონური მომენტები განიცადა. აქ შექმნილმა ობიექტიურმა მდგომარეობამ გერმანიის მშრომელი მასა პირდაპირ გამოიყვანა ბრძოლის ველზე და იარაღი აალებინა პოლიტიკურ ძალა-უფლების დასაპყრობად. მემარჯვენე სოციალისტებმა და კაპიტალისტებმა შეერთებულის ძალით ჩაახშვეს მუშათა მოძრაობა გერმანიაში და რამდენიმე წლის განმავლობაში ავაზაკური მეთოდებით ანადგურებდნენ მუშათა ორგანიზაციებს. გერმანიის საუკეთესო რევოლიუციონერები ზოგი ბრძოლის ველზე დაეცნენ და ზოგნი კი ციხეებში სხედან. ამ გვარად ბურჟუაზიულმა რეაქციამ შეასუსტა მუშათა ორგანიზაციები, შეამცირა მათი საუკეთესო ბელადები. პროლეტარულ ორგანიზაციების წინააღმდეგ იბრძოდა და იბრძვის არა მარტო მონარქისტული რეაქცია, არამედ რესპუბლიკურიც. ამას პარალელურად სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული მონარქიულს ორგანიზაციებს. ამ გარემოებამ მოჰგვარა ის შედეგები, რომელთანაც დღეს ჩვენ საქმე გვაქვს გერმანიაში.

ჩვენ არ ვიცით დღეს თუ როგორი სახესა და შინაარსს მიიღებს გერმანიის ამბები. გერმანია დღეს მარტო თავისი მონაგონ ძალებზედ არ არის დამოკიდებული. მას თვალყურს ადევნებს და სრულს თავის კონტროლში ჰყავს გამარჯვებულს ანტანტას და ყველაზე უწინ კი საფრანგეთს. საფრანგეთისათვის დღეს დღეობით, რეპარაციის ხელშეკრულების დადების გამო, ხაინტერესო არის შეიძლება გერმანიის მონარქიის შეხლაშემოხლით დასუსტება, შინაური ძალების საშუალებით მისი ენერგიის შემცირება, მაგრამ საფრანგეთი ვერ დაუშვებს მონარქიული გერმანიის აღდგენას, რაც თავის თავად უდრის ევროპაში დაწყებასა და ახალს ომებს. ამიტომ გერმანიის ამბებს გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ევროპის იმპერიალისტები და იქ მომხდარ ამბებს თავისთავად ექნება წონა და ფასი საერთაშორისო პოლიტიკისათვის.

მეორეს მხრივ აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ მონარქიულმა რეაქციამ ერთგვარი შესაძლებლობა დაჰბადა გაერთიანებულ მუშათა ფრონტის შექმნისათვის. გერმანიის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა ყველა მუშურ ორგანიზაციებს რეაქციის წინააღმდეგ გაერთიანებულ ფრონტით გამოსვლისათვის. როგორც მოსული რადიო გვამცნობს, მუშათა წრეები თავის თავად ერთიანდებიან და ემზადებიან კონტრ-დემონსტრაციებისათვის. გერმანიის დღევანდელმა ამბებმა ერთხელ კიდევ ნათელყო მემარჯვენე სოციალისტების პოლიტიკის სრული სიკოტრე და ყველასათვის აშკარა გახადა, რომ მუშათა ხსნა თვით მუშათა წრეების გაერთიანებაშია და არა ბურჟუაზიასთან პოლიტიკურს კავშირში ყოფნაში.

დღეს საკითხი რადიკალურად ესმით მემარჯვენე სოციალისტებს. იძულებულნი არიან პრაქტიკულად გამოვიდნენ გაერთიანების ნიადაგზედ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოელის სრული წალეკვა შავი რეაქციისაგან.

როგორც 27 ივნისს მოსულ რადიოთი ირკვევა, მემარჯვენე სოციალისტები რამოდენიმედ ყოყმანობენ და გერმანიის კომპარტიის მოწოდებას ვერ მიხვდნენ შესაფერისად. ეს ერთხელ კიდევ აშკარავებს მემარჯვენეების დაბნევასა და უნიადაგობას. რეაქციის აბმაურება და მათი გამოსვლებისათვის მზადება მოითხოვს რევოლიუციონური მუშების დარაზმვასა და მათი კონტრშეტევისათვის მზადებას. რასაკვირველია, ყოველი ყოყმანი და გაუბედაობა მხოლოდ შავი რეაქციონერებისათვის არას სასარგებლო.

მიუხედავად იმისა, რომ მემარჯვენე სოციალისტები ყოყმანობენ, ამ ჟამად გერმანიაში ამ პარტიების დამოუკიდებლადაც მუშათა გაერთიანებას ეყრება მტკიცე საფუძველი და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გერმანიის შავი რეაქცია პროლეტარიატის გაერთიანებული ნებისყოფით დაიმსხვრევა.

ს. დეგიანი.

## კულტურა და მშრომელი ხალხის ძალაუფლება.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ამტკიცებენ. სოციალიზმის გამარჯვებას მოჰყვება მწიგნობრობის, ხელოვნების მეცნიერების, ფილოსოფიის, ერთი სიტყვით, მთელი სულიერი კულტურის დაცემა, კაცობრიობის გაველურება, ცივილიზაციის მოსპობა მოჰყვება თანაო, ვინაიდან,—ამბობენ ისინი,—თანამედროვე კულტურა ნაყოფია ადამიანთა პირადი ინტერესების შეჯიბრების, პიროვნების საკუთარ ბედნიერებისა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის, ხოლო სოციალიზმი კი ასეთბრძოლის შეძლებლობას სპობს და ადამიანის ნებისყოფას, მის მისწრაფებას უკეთესობისაკენ გარდაუვალ საზღვარს უდებსო.—„გააკეთე ის და ის" სახალხო როგორც გიბრძანებენ, საზღაურად მიიღე რასაც მოგცემენ,—აი სოციალისტური საზოგადოების საფუძველი", და ასეთ ყაზარმულ პირობებში კულტურის განვითარებაზე განა შეიძლება ლაპარაკიო?

ასე ამბობენ და სწერენ კაპიტალიზმის მოციქულები და ამნაირად, ისინი თანამედროვე კულტურას კაპიტალიზმის პირმშო შვილად სთვლიან.

ჩვენ აზრად არა გვაქვს ამ პატარა შენიშვნაში ვრცლად შევეხოთ ბურჟუაზიის იდეოლოგთა მიერ სოციალიზმის ასეთ ვულგარულად დახასიათებას, ვინაიდან დღევანდელ პირობებში მათთან კამათის გამართვა ამ საგანზე—ეს ქარის წისქვილებთან ბრძოლა გამოვიდოდა; ვიტყვით მხოლოდ, რომ თვით სოციალიზმი, ჩვენი გაგებით, არის უმაღლესი კულტურა, სადამდისაც კაცობრიობა ჯერ ვერ ამაღლებულა, მაგრამ კაცობრიობის განვითარების საბოლოო მიზანი მაინც სოციალიზმია, ვინაიდან სოციალიზმი არის სწორედ ისეთი წყობილება, სადაც პიროვნებას ეძლევა ფართო ასპარეზი გაშალოს ფრთა თვისი ნიჭისა და უნარის გამოსაჩენად. ასე, რომ დღეს ჩვენ მხოლოდ საქმის პრაქტიკული მხარე გვაქვს მხედველობაში იმდენად, რამდენადაც სოციალიზმის განხორციელების პროცესში ვიმყოფებით და რამდენად ეს პროცესი გავლენას ახდენს კულტურისა და ცივილიზაციის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობაზე.

ავიღოთ, მაგალითად, მწიგნობრობა. ეჭვი არ არის, წიგნი ერთი მთავარი ღერძთაგანი იყო და არის კიდევაც კულტურისა, ხოლო ბეჭვდის ტეხნიკა—ცივილიზაციის მთავარი საფუძველი. თუ ეს ასეა, ცხადია, მწიგნობრობა და მისი ბეჭდვის საქმე ნამდვილი ბარომეტრი ყოფილა კულტურისა და ცივილიზაციის ამა თუ იმ პოლიტიკური წყობილების დროს. თუ ამ საზომით მივუდგებით საკითხს, სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დღევანდელი ხელისუფლების დიდიდი ზრუნვის და მეცადინეობის, მწიგნობრობის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული საქართველოში, ახალ გამოცემულ წიგნების რიცხვი, მათ შინაარსს, რომ არ შევეხოთ, მეტად უმნიშვნელოა, ხოლო ჟურნალი და გაზეთი ხომ იშვიათი მოვლენა გახდა ჩვენს ცხოვრებაში. საბეჭდავი მანქანები უმთავრესად საკანცელარიო საქმეებზე მუშაობენ და სასტამბო ტეხნიკა არა თუ არ გაუმჯობესებულა, პირიქით, რეგრესის გზას დაადგა. ყოველგვარ ბეჭდვითი ნაწარმოებს გარეგნული შნო და ლაზათი აკლია და ზედ მისი შემსრულებლის უგულობისა და უნადვლელობის ბეჭედი აზის. ყოველივე ეს ერთი შეხედვით თითქოს ამართლებს ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ზემოთ მოყვანილ შეხედულებას სოციალიზმისა და მისი უარყოფითი გავლენის შესახებ კულტურასა და და ცივილიზაციაზე. მაგრამ თუ გავეცნობით ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზებს, საქმეს თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ სოციალიზმი აქ არაფერ შუაშია, არამედ დამნაშავეა ის გარდამავალი ხანა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, და რომელიც დროებითი წარმავალია. ძველის ნგრევისა და ახალის შენებას მუდამ თან ახლავს სწორედ ეს გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც ყოველგვარი კულტურის წარმატება ფერხდება დროებით. საბედნიეროთ, მგონი, ეს ხანა ჩვენ უკვე განვლეთ და ახლა უკვე გადავდივართ ახალი აღმშენებლობის პერიოდში. დღეს თოფ-ზარბაზნის გრიალი აღარ ისმის, სისხლის ღვრა შეწყვეტილია და ცხოვრება თანდათან მშვიდობიან კალაპოტში

დგ ბა. ახლა სწორეთ რომ დრო არის კულტურული აღორძინებისა, კულტურული მუშაობისა და პირველ ყოვლისა მწიგნობრობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისა.

მშრომელთა ძალა-უფლებამ საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ, წიგნი მისთვის ისევე ძვირფასია, როგორც თვით მისი ძალა-უფლება, რომ ამ ძალა-უფლების დროს წიგნის გამრავლება და მისი გაუმჯობესება შინაარსის მხრივ, მისთვის წმინდა მოვალეობას შეადგენს. ამავე დროს უყურადღებოდ არ უნდა იქნას დატოვებული თვით ბეჭდვის ტეხნიკაც. ქართული სტამბა, ქართული შრიფტი, ჩამორჩენილი და აბუჩად აგდებული მეფის რეჟიმის დროს, დღეს უნდა აყვავდეს და გაუმჯობესდეს. დიახ, მწიგნობრობა სახელმწიფომ უნდა გაიხადოს თავის ერთ უმთავრეს საზრუნავ საქმედ, ხოლო ამ საქმის პრაქტიკული განხორციელება უნდა იკისროს სათანადო დაწესებულებებმა—სახელწიფო გამომცემლობამ და პოლიგრაფიამ. ამ დაწესებულებებთან მცოდნე პირებისაგან უნდა მოეწყოს სხვა და სხვა ტეხნიკური კომისიები, ბეჭდვითი ხელოვნების მუშაკთა წასახალისებლათ უნდა დაწესდეს პრემიები საუკეთესო ნაწარმოებისათვის, უნდა მოეწყოს გამოფენები, ექსკურსიები, ლექციები. ყველამ მწერალმა, პოეტმა, ასოთამწყობმა, მბეჭდავმა, ერთი სიტყვით, ვისაც კი ამ საქმისთვის გული შესტკივა და რაიმე ცოდნა და გამოცდილება მოეპოება, ყველა უნდა შემოკრბეს ამ საქმის გარშემო და გააკეთოს ის, რის გაკეთებაც შეუძლია, რომ ამნაირად ყველამ შეძლებისადაგვარად ხელი შეუწყოს დიად კულტურულ მუშაობას.

ყველა ერთი მიზნით, ყველა ერთი საქმისაკენ. ყველაფერი წიგნისათვის, რათა დავამტკიცოთ საქმით და არა სიტყვით, რომ მშრომელთა სახელმწიფოს მართლა შეუძლია კულტურას გაუძღვეს და მას ეპატრონოს.

ე. ტოროტაძე.

# ნარკვევი

## ამერიკის კაპიტალის შემოტევა.

არც ერთ ქვეყანაში ისეთ სასტიკ ფორმებს არ ღებულობს კაპიტალის შემოტევა, როგორც ყველაზე უფრო დემოკრატიულ ამერიკა-
დაიწყეს ხელფასის შემკირები-
ში.
დან და შემდეგ დიდად გავრცელებული უმუშევრობა გამოიყენეს იმისთვისაც, რომ შეუტიეს თვით პროფკავშირებს. ამ შეტევას ამართლებენ გაბერილი ფრაზებით ეგრედ წოდებულ „ღია ქარხანაზე“, ე. ი. ისეთ წესზედ, როცა მექარხნეს უფლება აქვს დაიქირაოს არაწევრი პროფკავშირებისა, ე. ი. ქარხანა ღია უნდა იყოს ყველასათვის. მოსყიდული პრესა ამტკიცებს, რომ ეს სისტემა არის წმინდა ამერიკული ტიპის სისტემა, რომელიც გამომდინარეობს ამერიკელთა შეხედულებებისაგან „შრომის უფლებაზე“ და სხვა. და ეს მაშინ, როცა კოლექტიური ხელშეკრულობის უფლება დიდი ხანია მოიპოვა ამერიკის პროლეტარიატმა.

შემდეგ კაპიტალისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი „ინდუსტრიალური სასამართლოსი“. ნიუიორკის შტატის პარლამენტში ამას წინად შეიტანეს კანონპროექტი, რომლის ძალითაც მოქალაქეთა ყოველ ჯგუფს, დაწყებულს 30 კაცისაგან, უფლება ეძლევა მიიღოს სასამართლოს აკრძალვა, მიმართული გაფიცვის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, თუ ჯგუფის აზრათ გაფიცვა ზიანს აყენებს საზოგადო ინტერესებს. ასეთ ცირობებში, რასაკვირველია, ყოველი გაფიცვა გამოცხადდებოდა კანონის წინააღმდეგ. ასეთი წესი უკვე არსებობს კენზასის შტატში და დიდად აფერხებს მუშათა ორგანიზაციების მუშაობას. კაპიტალისტებს უნდოდათ მისი გავრცელება მთელ ამერიკაში, მაგრამ ჯერ ჩაეშალათ განზრახვა; კანონპროექტმა გამოიწვია სასტიკი პროტესტები. ამოძრავდა გომპერსიც, თავმჯდომარე შრომის ფედერაციისა. კაპიტალისტების ეს მორჩილი მოსამსახურე რევოლიუციითაც კი იმუქრებოდა. ყოველივე ამის ზეგავლენით შტატის გუბერნატორმა ვეტო დაადო კანონპროექტს. მაგრამ ამერიკული გაზეთების ცნობით, შესაძლებელია კანონპროექტი ისევ შეიტანონ პარლამენტში ცოტაოდენი ცვლილებით.

ძალიან გავრცელდა უკანასკნელ დროს ამერიკაში ეგრედ წოდებული „დეტექტივთა ბიუროები“, რაშიაც იფარება აგენტურა შტრეიკბრეხერებისა და „დიპტეპთა“ შესაგროვებლად. (დიპტეპი—ხულიგანები გაფიცულთა დასაშინებლად). მთელ ამერიკაში სახელი გაითქვა ბალდუინისა და ფელტის აგენტურამ. მათ მიერ მოწყობილმა პროვოკაციამ გამოიწვია დასავლეთ ვირგინიაში გენერალ ბრენდგოლცის ჯარებსა და ნახშირის მაღაროს მუშებს შორის შეტაკება, რასაც მოჰყვა აუარებელი მსხვერპლი მუშების მხრით დახოცილები, დაჭრილები, დაჭერილები და ადმინისტრატიულად გადასახლებულები.

მათი აგენტები ახერხებენ შესვლას მუშათა ორგანიზაციებშიც საშპიონოდ. ამერიკელ მუშათა გაზეთებში მოყვანილია (შუა მაისის რიცხვებში) საინტერესო ცირკულიარი, დაგზავნილი ლოსანჟელოსის (ამ რაიონის მწარმოებელია) დეტექტივთა ბიუროს მიერ. ცირკულიარში მოყვანილია ყალბი ცნობები, თითქმის პროფკავშირებს მოეწყოს ტერორისტული ორგანიზაცია წინააღმდეგ „101 კლუბისა“ (ანტი—მუშური ბანდა, რომელიც მოქმედებს ნავთიან რაიონებში) და სხვა ფანტასტიური ისტორია. დასასრულ ბიურო წინადადებას იძლევა დაეხმაროს ყველას კომუნისტურ და ანარქისტულ საფრთხის წინააღმდეგ.

გამრავლდნენ ამერიკაში უკანასკნელ დროს ჩვეულებრივი „frame-up“, ანუ ფართე პროვოკაციები მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამ პროვოკაციებში მუდამ ხმარობენ ბომბებსა და ჯოჯოხეთის მანქანებს. ასე მაგ. მაისის 10, ჩიკაგოში, ზოგიერთ სახლების სარდაფებში აფეთქდა ბომბები და მოჰკლა ზოგიერთი პოლიციელი. მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედნი ვერ აღმოაჩინეს პოლიციამ მაინც მუშათა ორგანიზაციებზედ მოახდინა „ობლავა“ დაატუსაღა 200 მეტი მუშები. ამას მოჰყვა გაცოფებული შეტევა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ „სამოქალაქო კომიტეტის“ მხრით, რომლის სათავეშიაც დგანან მილიარდერები: როზენვალდი, სვიფტი, არმორი და სხ. ეს კომიტეტი დიდი ხანია ებრძვის მშენებელ-მუშათა კავშირს ხელფასის შესამცირებლად და თავისუფალი დაქირავების უფლებისათვის.

ჩიკაგოში ძალიან ბევრია მშენებელი მუშები, მაგრამ დაქუცმაცებულნი არიან მრავალ ორგანიზაციებში, რომელნიც ერთი-მეორეს ეცილებიან გავლენის მოპოებაში. ამით სარგებლობს კაპიტალი და ახერხებს მოქიშპე ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსყიდვას.

ზოგ შტატებში, კერძოდ დასავლეთ ვირგინიაში, პოლიცია და მსაჯულნი აშკარად იმყოფებიან სამსახურში მილიონერებთან.

ასეთია მებრძოლი კაპიტალის ტაქტიკა თავისუფალ ქვეყანაში. პროვოკაცია, ტერორისტული ბანდები, მოსყიდვა პოლიციის, სასამართლოს, მუშების დევნა.

(„პრავდა“ № 133.)

# გერმანეთის ამბები.

### კომუნისტური პარტიის ცეკას მოწოდება.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა სოციალისტურ პარტიებსა და გაერთიანებულ პროფესიონალურ კავშირებს, რომელშიაც ცეკა მიუთითებს რეაქციის გათავხედებაზე, რომელიც გამოაშკარავდა ამ ბოლო დღეებში გერმანიაში. ყოფილმა კრონპრინცმა რუპრეხტმა ბავარიაში გამართა ზეიმები, რომელნიც წარმოადგენენ მონარქისტულ კონტრრევოლიუციის დასაწყისს მთელს გერმანიაში. კარლსრუეში რესპუბლიკის კომისრის თანადასწრებით გადაყენებულმა დიდმა ჰერცოგმა გამართა თავისი ლეიბ-გვარდიის აღლუმი. ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი დარმშტადტშიც. გენერალმა კოლცმა ბალტიის დივიზიის გმირმა, გამართა აღლუმი, რომლის დროსაც, ნაციონალისტური პროვოკაციის გავლენით, საქმე მივიდა სისხლის ღვრელ შეტაკებამდე, არის მუშების მსხვერპლი. გენერალმა მაკენზენმა, რომელიც პასუხისმგებელია ომში დაღუპულ მილიონ სიცოცხლის და ჰინდენბურგმა, სიგიზმუნდმა მოახდინეს ბერლინში ძველი პოლკების დათვალიერება. რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა რეიხსვერი, ხალხის „უკეთილშობილეს“ წარმომადგენლებისა ამ თავხედობამ და ნაციონალისტური წასისინებამ მიგვიყვანეს იქამდე, რომ კონტრ რევოლიუცია ანდაგანდაგ აშკარად გადავიდა შეტევაზე მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. ჰამბურგში უკანასკნელი სამი კვირას განმავლობაში ადგილი ჰქონდა ხუთ ჯერ დინამიტებით თავდასხმას მუშათა წარმომადგენლებსა და მათ დაწესებულებებზე. ამავე დროს ადგილი ჰქონდა კიელში თავდასხმას დეპუტატ შეიდემანზე. მიუნხენში ზოგი ძალები სწვავენ რესპუბლიკანელ დროშებს და ამგვარად თავხედობენ ჯარებში.

მიუთითებს რა იმ სისხლიან შემთხვევებზე, რომელიც მოხდა კენინგსბერგში გენ. ჰინდენბურგის მიერ გამართული აღლუმის დროს. სადაც რეიხსვერთა, მიუხედავად აკრძალვისა, მაინც მიიღო მონაწილეობა აღლუმში, რომელიც დამთავრდა შეტაკებით, დახოცილებით და მრავალი მძიმე დაჭრილებით. ეს მოწოდება აღნიშნავს, მჭიდრო კავშირს რეაქციის შეთქმულება და კაპიტალის გაფუგონარ თავდასხმას შორის. მოწოდება აფრთხილებს, რომ მონარქისტები ამზადებენ 28 ივნისისათვის, ვერსალის ზავის ხელისმოწერის დღეს, საყოველთაო კონტრ-რევოლიუციონურ დემონსტრაციებს, რომლისთვისაც მონარქისტები ენერგიულად ახდენენ თავიანი ძალების მობილიზაციას და ემზადებიან გეგმა შეწონილი ბრძოლისათვის პროლეტარიატის წინააღმდეგ იტალიური ფაშისტების მსგავსად.

გერმანიის კომპარტიის ცეკა მოუწოდებს ყველა სოციალისტურსა და ყველა პროფკავშირებს შეადგინონ ბრძოლისა და თავდაცვის გაერთიანებული ფრონტი გათავხედებულ მონარქიულ რეაქციის წინააღმდეგ და გამოიმუშაონ საერთო მოწოდება რეაქციის მოქმედების შესახებ: თავის მხრით ცეკა გამოსთქვამს სრულს თანხმობას მიიღოს მონაწილეობა ამის შესახებ საერთო მოლაპარაკებებში („როტე ფანე“ 17 ივნისის).

### მუშების პასუხი.

როგორც „როტე ფანე“ იუწყება, გუგენში (ვესტფალია) მუშათა ყველა პარტიებმა: გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ, დამოუკიდებლებმა, სოციალ-დემოკრატებმა, საყოველთაო გაერთიანებულმა პროფკავშირებმა, მოუწოდეს მუშებს საერთო დიდი დემონსტრაციების მოსაწყობათ მონარქისტების წინააღმდეგ. მისაღოდნელია გრანდიოზული დემონსტრაციები. ამასვე იუწყებიან ვუპერტალიდან და მთელ რიგ სხვა ქალაქებიდან. რეინის პროლეტარიატის რიგებში უკიდურესი აღშფოთების განწყობილებაა მონარქისტების წინააღმდეგ.

### რატენაუს მკვლელი აღმოაჩინეს

**რომი.** ივნისის 29-ს მიღებულია ცნობები იმის შესახებ რომ რატენაუს მკვლელი აღმოაჩინეს და მოელიან მის შეპყრობას.

### ვირტი—გარეშე საქმეთა მინისტრი.

**რომი** ივნისის 29 ს ვირტმა მიიღო თავის თავზე გერმანიის საგარეო პოლიტიკის წარმოება.

### საალყო წესები ბერლინში.

**კრაუდენი.** ივნისის 29-ს ებერტის ბერლინში დაბრუნებისთანავე ხელმოწერილ იქმნა დეკრეტი ბერლინში და მის მიდამოებში საალყო წესების შემოღების შესახებ, იგივე დეკრეტი გულისხმობს იმ განსაკუთრებულ ზომების მიღებას, რაც საჭიროა განსაკუთრებულ პირობებში, რომელშიაც გერმანია იმყოფება, ამ ლონისძიებათა მიზანია დაიცვას რესპუბლიკა კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან. დადგენილია, რომ პრესაში მონარქიის სასარგებლოდ გამოსვლისათვის დამნაშავე დაისჯება დაპატიმრებით 5 წლით და მეტით. იუსტიციის მინისტრმა რადბრუხმა განაცხადა, რომ დეკრეტი მიმართულია მხოლოდ მემარჯვენე პარტიების წინააღმდეგ.

### გაზ. „დოიჩე ტაგებლატის დახურვა.“

**ნაუენი.** ივნისის 29 ს დაიხურა უკიდურესი ნაციონალისტური გაზეთი „დოიჩე ტაგებლატი“.

### დაპატიმრება.

**ნაუენი.** ივნისის 29 ს რატენაუს მკვლელობის გამო ბერლინში დაპატიმრება გრძელდება. დაპატიმრებანი მოხდება აგრეთვე სამხრეთ გერმანიაშიაც.

### მონარქისტების ხიმშვიდე.

**ნაუენი.** ივნისის 29-ს ბავარიის მთავრობა გაურბის ჯერ ჯერობით საწრაფო ზომების მიღებას რატენაუს მკვლელობის გამო.

### ნაციონალისტები პროტესტს აცხადებენ.

**ნაუენი.** ივნისის 29 ს გერმანიის ნაციონალისტური პრესა პროტესტს აცხადებს იმ ბრალების წინააღმდეგ, თითქოს მას წილი უდევს რატენაუს მკვლელობაში.

### ვინ რიგია.

**ბერლინი.** 29 ივნისი. რატენაუს დიდა ღებულობს შეურაცხყოფის ლა და დაბეჭდილ ბარათებს. მიუნხენში ბრბომ ჩამოგლიჯა ნაციონალისტების ბინის შესავალში გამოკრული წარწერა, რომელიც ამბობდა: „რატენაუ მოკვდა, მაგრამ ებერტი, შეიდემანი და ვირტი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან“.

### პუანკარეს აზრი რატენაუს შესახებ

**ნაუენი.** 29 ივნისი. პუანკარემ განუცხადა იტალიის კორესპონდენტებს, „რომ არ ყოფილიყო რატენაუ, საფრანგეთს და გერმანიას შორის არ იქნებოდა დადებული არსებული შეთანხმება, რომელიც ზედმეტად ხდის სანქციის რეჟიმს.

### ლეიტენანტ კრულის დაპატიმრება.

**ნაუენი.** ივნისის 29. ბერლინში რატენაუს მკვლელობასთან დაკავშირებით დააპატიმრეს ლეიტენანტი კრული, რომელიც თავის დროზე პასუხისგებაში იყო მიცემული როზა ლიუქსემბურგის მოკვლის საქმის გამო.

### სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

**ნაუენი,** 29 ივნისი. დარმშტადტში მოხდა რამოდენიმე სისხლის ღვრელი შეტაკება. ბრბომ დაანგრია ორი რედაქციის შენობა. პოლიციამ ბრბოს წინააღმდეგ იარაღი იხმარა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მოკლულია 3 და დაჭრილია 35 კაცი. ამ გვარივე არეულობანი უფრო მცირე მასშტაბით მოხდა კარლსბადში.

### მუშების და სტუდენტების შეტაკება.

**ნაუენი.** 29 ივნისი. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ ლექტორმა აკრძალა რატენაუს დაკრძალვის დღეს ლექციების კითხვა, პროფესორ ლენგარდმა წაიკითხა ლექცია. უნივერსიტეტს თავს დაესხნენ მუშები, სტუდენტებმა მუშებს ქვები დაუშინეს. ლენგარდი და მისი მომხრეები დააპატიმრეს.

### საეჭვო ავტომობილი.

**ნაუენი,** 29 ივნისი. პოლიციამ დააკავა პროვინციაში და ჩამოიყვანა ბერლინში საეჭვო ავტომობილი, რომელიც შოფერს დატოვებია გარეშე რამოდენიმე დღის განმავლობაში. ფიქრობენ რომ ეს სწორეთ ის ავტომობილია, საიდანაც ესროლეს რატენაუს.

### დატუსაღებანი ბერლინში.

**ნაუენი,** 29 ივნისი. ბერლინში სწარმოებს დიდი ჩხრეკა დაპატიმრება.

### გერმანიის პრემიერების კრება.

**ნაუენი,** 29 ივნისი. გერმანიის კაბინეტმა წინადადება მისცა გერმანიის სახელმწიფოთა პრემიერებს ჩამოვიდნენ ბერლინში მთელ რიგ საერთო საკითხების გამოსარკვევად.

### გერმანია და ერთა ლიგა.

**ნაუენი,** ივნისის 29-ს გაზ. „დეილი ნიუსი“ ეხება რა ლოიდ ჯორჯის განცხადებას გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ, ამბობს, რომ არ არის საჭიროება გერმანიის იმავე პირობებში დაყენება, როგორც ამერიკის — ან ლიხტენშტეინის, საჭიროა გერმანია გახდეს ერთა ლიგის ნამდვილ წევრად.

# ესერების პროცესი.

ს ნაფრანგეთი ... ... ... გა... წყდა ... ... იქნენ ... ... ... კაცისაგან ... ... ... ... ავქსენტიევი, არგუნოვი, გენერალ ბ... დიროვი და კადეტები—ასტროვი კიშკინი, კანდიდატათ ჩაიკოვსკი. დირექტორიის წევრებს მიეცათ დირექ... გამგზავრებულიყვნენ ფრონტზე—უფ... ზე. უფას თათბირზე დირექტორ... შემადგენლობა დამტკიცებულ იქ... მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ალ... სეევი არჩეულ იქმნა გენერალ ბოლ... რივის მოადგილეთ.

იგნატიევი შემდეგ მოუთხრობს პ... როგრადში პოლიტიკურ ცენტ... „აღორძინების კავშირის“ დაარსებ... შესახებ, რომელშიაც სახალხო სოცი... ლისტებიდან შედიოდა ბრამსონი, ესერ... ბიდან—გოცი.

კრილენკოს შეკითხვაზე, გოცი ა... წურებს თავისი მონაწილეობის ფაქ... „კავშირის“ პეტროგრადის თათბირ... მაგრამ აცხადებს, რომ ის შედიოდა მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციუ... მიზნით.

ვრცელი განმარტებით ესერების პ... ტიის აღორძინების კავშირთან დამო... დებულების შესახებ გამოვიდა ტიმ... ფეევი რომელიც შეეცადა მიეფუჩეჩ... ფაქტების მნიშვნელობა და დაეფა... ცეკას მოღვაწეობა, ის ამბობს: „ჩვ... ვიცოდით, რომ ავქსენტიევი და არგ... ნოვი არღვევდენ პარტიის დადგენილ... ბას, გამოდიოდენ რა 4 ყრილობის შე... დეგ მოკავშირეებთან კოალიციის მო... ხრეებად, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რო... პარტიაში შეეძლოთ ყოფილიყვნენ მო... წიფებული ადამიანები, რომელთაც ა... შეეძლოთ დაეუყოვნებლივ გაეგოთ თავი... რწმენა, პარტიის ყოველგვარ დადგენ... ლებათა შემდეგ ისინი, პარტიის ჩა... ჩოების გარეშე, უთანხმდებოდენ სხვ... პარტიების წარმომადგენლებს, მაგრ... არ იჩენდენ არავითარ ცდას გამოსვლ... ბისათვის, ესერების პარტიის ცეკა და... შვიდებული უცქეროდა ამას, არ სთვლ... და რა საჭიროდ გამოერიცხა ეს პირე... პარტიიდან და ფიქრობდა მხოლო... რომ მასების შეტაკებას შეეძლო გამოე... სწორებინა ამ განზორებულ პირთა მო... მედებები.

ტიმოფეევი მოუთხრობს მოკავშირეთ... ნოტის ისტორიას, რომელიც გაგზავნი... იყო სხვა და სხვა საზოგადოებრივ მო... ღვაწეთა სახელზე. იგი გადაეცა აგრეთვე... ტიმოფეევს. ამ ნოტაში მოკავშირეებ... „უმორჩილესად“ არჩევდენ შეედგინა... ახალი ხელისუფლება ყველა პარტიების... კოალიციების საფუძვლებზე დირექტო... რიის მეთაურობით.

**მოსკოვი** 29 ივნისი (როსტა). 28 ი... ნისის დილის სხდომაზე იკვლევდა ეს... რების ცეკას მოღვაწეობა სარატოვში... დაეკითხენ ბრალდებულ ოლხოვსკი... რომელიც მოუთხრობს სასამართლო... ისეთ ფაქტების შესახებ, რომელთაც... არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან... მას მოყავს ცალკე ანეკდოტები და... ვრცლად ლაპარაკობს აგრარული საკით... ხის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ... თავმჯდომარემ მრავალჯერ მოუწოდ... მას ელაპარაკა საქმეზე, ბრალდებულ... მაინც განაგრძობს თავისებურად ჩვენე... ბის მიცემას და ფრთხილად გაურბი... არსებითი პასუხის გაცემას. ბრალდე... ბულის დაკითხვით შესაძლებელი გახდ... მხოლოდ ზოგიერთი ფაქტების გამორ... კვევა. პირველი ინფორმაცია, რომელი... ჩამოიტანეს ვოლგის მხრის დელეგატებმ... ესერების პარტიისამ მე-8 ყრილობაზ... თავიანთი პარტიისა, გახდა საფუძველ... პარტიის მე-8 ყრილობისათვის მიეღ... გადაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლე... ბის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძო... ლისა და ვოლგის მხარის ფრონტის... შექმნის შესახებ. ვოლგის მხარის საოლ... ქო კომიტეტს კავშირი ჰქონდა ურალის... ფრონტთან. ვოლგის მხრის საოლქ... კომიტეტს დამოკიდებულება ჰქონდა... აგრეთვე სამარის ფრონტთან, სამარის... ესერულ მთავრობასთან, რომელიც მათ... თან ერთად მუშაობდა. ესერების ორგა... ნიზაციის წევრები აქტიურ მონაწილე... ობას იღებდენ ჩეხოსლოვაკების უშედეგო... აჯანყებაში. ლონსკოი, რომელმაც შე... ცვალა ოლხოვსკი სარატოვში, თავის... ჩვენებაში ცდილობს დაამტკიცოს, რომ... ფაქტიურად სამხედრო მუშაობა არ... სწარმოებდა, რომ აქ იყო მხოლოდ მი... საზრებანი და განზრახვები. ვოლგის... აჯანყება არ მოუწყვიათ ესერებს, მაგ... რამ შემდეგ ესერები ხელმძღვანელობდენ და... ხელმძღვანელობდენ აჯანყებულებს. სარატოვში... არეულობის მოხდენის ცდას თავი და... ნებეს ესერებმა, რადგანაც დამფუძნებე... ლი კრების სახალხო არმია სარატოვ... მიმართულებით აწარმოებდა შეტევა... სარატოვის ესერები კმაყოფილდებოდნენ... სამარის არხანგებისათვის დახმარებ... აღმოჩენით, რომელთაც გამოსთქვე... სურვილი გადაეყვანათ ფრონტზე პარ-

ტიული სამხედრო მუშაკები საერთო პოლიტიკური და სამხედრო ინფორმაციით. მუშაობის ჩაშლის საკითხი სარატოვის ორგანიზაციაში არ ყოფილა დასმული. ამ თემაზე სწარმოებდა მხოლოდ საერთო სჯა-ბაასი.

კრილენკოს შეკითხვებმა და დაშევსკის და დონსკოის პასუხებმა გამოააშკარავეს პიკანტური ისტორია იმის შესახებ, თუ ესერებმა თავისი პარტიული იარლიკების საშვალებით, მოსკოვის საფრანგეთის მისიის თხოვნით როგორ გადაიყვანეს ფრონტზე სერბიის ელჩი. ოლხოვსკი ამტკიცებდა, რომ მას არავითარი ელჩი არ გადაუყვანია, რომ მან გადაიყვანა მხოლოდ სამი სერბიელი ოფიცერი.

ესერების პარტიის სარატოვში ფაქტიური მუშაობის მდგომარეობის შესახებ ჩვენებას იძლევა ბრალდებული დაშევსკი, რომელიც ამბობს, რომ სარატოვი უნდა გამხდარიყო ცენტრად შეიარაღებული რაზმებისა. უთავრეს მიზნებს უსახავდნენ რაზმებულ ურალის კაზაკობას. იმ დროს, როდესაც დაშევსკი ჩავიდა სარატოვში, ესერების პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის სულიერი განწყობილება, მთელ რიგ გლეხთა აჯანყების დამარცხების გამო ერთგვარად დაეცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა იქიდან წამოსული დონსკოი არ აძლევდა დაშევსკის რაიმე დირექტივებს მუშაობის მეთოდების შეცვლის შესახებ. სამხედრო მუშაობას ხელმძღვანელობდა უსტინოვი, რომელსაც პოლკოვნიკ ბრედნის საშვალებით მოსდიოდა ცნობები, ფრონტზე მყოფი მეოთხე არმიის შესახებ. ამ პოლკოვნიკს მინდობილი ჰქონდა ორი ცხენოსანი პოლკის შედგენა. მთელი მუშაობა ჩაიფუშა, რადგან სამხედრო კონტროლმა მიაგნო კვალს (დამახინჯებულია),.. ბრედიხინმა მოასწრო გაქცევა მე-4 არმიის შტაბის ნაცნობების წყალობით.

### მემარცხენე ესერების პროცესი.

მოსკოვი. 29 ივნისი. 28 ივნისს უზენაეს ტრიბუნალის სესიაში დაიწყო მემარცხენე ესერების პროცესი, რომელთაც ბრალს სდებენ კონტრ-რევოლიუციონერ პროპაგანდაში.

# ჰააგის თათბირი

### რუსეთის დელეგატების ჩამოსვლა.

**რომი.** ივნისის 29-ს გუშინ ჩამოვიდა ჰააგაში საბჭოთა დელეგატების პირველი ჯგუფი ლიტვინოვის მეთაურობით.

### მოკლედ და მკაფიოდ.

**ბორდო.** ივნისის 29 ს გაზ. „მატენში“ გამოქვეყნებულია ლიტვინოვის განცხადება ჰააგაში. იმან სთქვა, არ იქნება ფული რუსეთისათვის—არ მოხდება განხილვა იმ პრინციპებისა, რომელიც მისთვის მისაღებია.

# უცხოეთი

### კომუნისტების პროცესი

**ბორდო** 29 ივნისი. ბუქარესტში დასრულდა კომუნისტების პროცესი, რომელსაც დაესწრო 125 სხდომა. გოლდშტეინს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა, დანარჩენი კომუნისტების სხვა და სხვა ვადით დაპატიმრება ერთი თვიდან, 10 წლამდე. რამოდენიმე პირი გაამართლეს.

### ნაციონალური ბლოკის დარღვევის წინაშე

საფრანგეთის პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზედ ადგილი ჰქონდა მეტად უწესრიგო სცენებს, რომელიც ეხმოცენდა სამხედრო სამსახურის საკითხის გარჩევის ნიადაგზე. 100 ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქნა წინადადება დიდრიცხოვან ოჯახის პატრონთა შეღავათისათვის. მიღებულ იქნა 18 თვის ვადის სამხედრო სამსახური, რომლის კენჭის ყრის დროს გამოაშკარავდა სრული დარღვევა დისციპლინისა „ნაციონალურ ბლოკს“ შორის: ერთ შემთხვევაში ხმები გაიყო შუაზედ. პუანკარეს ნდობის ვოტუმი გავიდა 313 ხმით 230 ხმის წინააღმდეგ.

### სოციალისტური პარტიის დაშლა

**რომი.** 16 ივნისი. პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე სოციალისტურმა ფრაქციამ გადასწყვიტა არ დაემორჩილოს პარტიის დირექტივებს და თავის თავი გამოაცხადოს ავტონომიურად მახლობელ კონგრესამდე. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბარანტოს რეზოლიუციით, რომელსაც ხმა მისცა 40; 60 ხმის წინააღმდეგ. რეზოლიუციას, რომელიც მოითხოვდა სრულ თანამშრომლობას ბურჟუაზიასთან ხმა მისცა 8, 14 წინააღმდეგ. ტურატმა, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა თანამშრომლობას, აღნიშნა რომ თუ თანამშრომლობის ცდა დამარცხდა, მრავალი ამაში ედება არა რეფორმისტებს, არამედ სერატის, რომელმაც ხელი შეუშალა თანამშრომლობას და მიიყვანა პარტია უძლურებამდე. შრომის საერთაშორისო კონფერენციის და პარლამენტის სოციალისტური ჯგუფის გადაწყვეტილების მიხედვით, პარტიის ნაციონალურმა საბჭომ მიიღო დირექტივა ახლო მომავალში სასწრაფო კონგრესის მოწვევის შესახებ. ერთი სიტყვით ის მომენტი, რომელსაც განიცდის იტალიის სოციალისტური პარტია, მოწმობს არა მარტო განხეთქილებას პარტიაში, არამედ მის სრულ დაშლას.

### სამხედრო სამზადისი უკრაინის საზღვრებზე.

**ბერლინი.** 18 ივნისი. „როტე ფანე“ იუწყება პოლონეთის ჯარის შეუწყვეტელ გადასხმაზედ რუსეთის—უკრაინის საზღვარზედ. ლვოვიდან ჩერნოვიცის და უკრაინის მიმართულებით გავიდა 40 მატარებელი მძიმე იარაღებით და პოლონეთის 4 დივიზია სრული საომარი სამზადისით.

### მოუსვენრობა ცენტრალურ ევროპაში.

**რომი.** 17 ივნისი. საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის ცნობით, ცენტრალურ ევროპაში მოსალოდნელია მოუსვენრობა.

საფრანგეთშიც და ბალკანის მხარეებში მოსავალს კარგი პირი არ უჩანს. დითესილი მიწების რაოდენობა ყველგან შემცირდა. მასაზრდოებელ ბალახის მდგომარეობაც უნუგეშოა.

# რუსეთი

### გერმანიის ამბების შესახებ

**მოსკოვი.** 28 ივნისი. ლონდონიდან იტყობინებიან: ყველა გაზეთები სავსეა ცნობებით რატენაუს მკვლელობის შესახებ. კონსერვატიული პრესა სწუხს რატენაუს, როგორც ნიჭიერ მოღვაწისას, სიკვდილს. გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ ფიქრობს, რომ რატენაუს ერთად ერთი შეცდომა არის რაპალოს ხელშეკრულების დადება. გაზ. „მორნინგი პოსტი“ ხედავს რატენაუს სიკვდილში მონარქიზმის ზრდას და ევროპის მშვიდობიანობის საფრთხეს და დაჟინებით აღნიშნავს ინგლისის და საფრანგეთის კავშირის აუცილებლობას.

ლიბერალური პრესა ფიქრობს, რომ სანამ ვერსალის ხელშეკრულება დარჩება ძალაში, გერმანია არ იქნება დაშვებული ნაციათა ლიგაში და, რომ ასეთი ამბები როგორც რატენაუს მკვლელობა, აუცილებელია.

— ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პროფკავშირების ლეიპციგის კონგრესმა ესდეკების ბერლინის ორგანიზაციასთან შეთანხმებით დაადგინა გამოაცხადოს რატენაუს დაკრძალვის დღეს საყოველთაო 24 საათის გაფიცვა.

— ბერლინში გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო მანიფესტაცია რატენაუს მკვლელობის წინააღმდეგ, რომელიც მოაწყვეს რესპუბლიკანურმა და სოციალისტურმა პარტიებმა დაახლოვებით 20 სოციალისტური ორატორი სამი ადგილიდან დიდს აღვამდენ მემარჯვენეთა ვერაგულ წაქეზებას და მოითხოვდნენ მონარქისტულ მოხელეების შეცვლას რესპუბლიკანელებით.

— იუსტიციის მინისტრმა განაცხადა რეიხსტაგში, რომ მემარჯვენეთა აგიტაცია გაშედულად იქნება დევნილი. ვირტმა განაცხადა, რომ გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს მთავრობა იქნება მშრომელთა მხარეზე. შეეხო რა შემდეგ მოკავშირეთა პოლიტიკას, ვირტმა აღნიშნა, რომ გერმანია მომთმენია, მაგრამ მოთმინების ფიალა შეიძლება აივსოს, თუ რეპარაციული პრობლემა არ გადასწყდება საკეთილდღეოდ და გონივრულად. ვირტის დეკლარაციას მხარი დაუჭირეს მეუმრავლესეთა სოციალისტებმა და დემოკრატებმა. სახალხო პარტიამ ხმის მიცემის დროს თავი შეიკავა.

— ცნობას რატენაუს ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ, ინგლისში დიდი მწუხარებით შეხვდნენ იმაზე, „ობსერვერი“ აცხადებს, რომ რატენაუს უკეთესად არავის შეეძლო მოეგვარებინა სრული ეკონომიური და საქმიანი ხასიათის საკითხები. გერმანიისათვის ადვილი არ იქნება გამონახოს ასეთ მსხვილ მოღვაწის სამაგიერო პირი ქვეყნის ორგანიზაციის ასეთ კრიტიკულ მომენტში მოკავშირეები დიდათ სწუხან მათ ყოფილი მტრის სიკვდილის გამო, რომელიც გულწრფელად ისწრაფოდა მშვიდობიანობისა და ევროპასთან თანამშრომლობისაკენ.

— გამოვიდა რა პარლამენტში ლოიდ ჯორჯმა გამოსთქვა ღრმა მწუხარება რატენაუს ალმაშფოთებელ მკვლელობის გამო, რომელიც იყო ერთი უნიჭიერესი მინისტრი ევროპაშია რომელიც ცდილობდა გერმანიის ნორმალური ურთიერთობის აღდგენას სხვა ქვეყნებთან, რისთვისაც იგი იქმნა მოკლული.

შემდეგ პრემიერი შეეხო ნაციათა ლიგას, რომელიც უკეთესად მოაგვარებდა თავის ამოცანებს თუ რომ დაუშვებდა ლიგაში გერმანიას. ინგლისი მზათაა მხარი დაუჭიროს გერმანიის ნაციათა ლიგაში დაშვებას. ლოიდ-ჯორჯის სიტყვით სასურველია ლიგაში იყოს დაშვებული აგრეთვე რუსეთიც, როდესაც ის გონზე მოვა.

### ინტერნაციონალთა თანამშრომლობა.

**მოსკოვი,** 28 ივნისი. ვენის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის ფრანკფურტის თათბირზე განხილულ იქნა მაკდონალდის წინადადება ვენის და 2 ინტერნაციონალის თანამშრომლობის შესახებ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ აუცილებელია მოხმარდეს ყველა ძალ-ღონე თანამშრომლობის მისაღწევად არა მარტო ორ, არამედ სამ ინტერნაციონალებს შორის.

### კოალიცია მთავრობასთან.

**მოსკოვი,** 28 ივნისი გ. ზ. „პტი-პარიზიენის“ ცნობით. დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის პრეზიდიუმმა განსაკუთრებული ამბების გამო დაადგინა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის კოალიციაში.

### ჰააგაში

**მოსკოვი.** 29 ივნისი. სისხთა ქვეყნისაში მიმღებელნი იყვნენ რუსეთის დელეგატები. თავმჯდომარემ წინადადება მისცა ლიტვინოვს წარმოედგინა რუსეთის აღდგენის გეგმა, ლიტვინოვმა მოითხოვა იმ მთავრობების წინასწარი რწმუნება, რომელნიც წარმოდგენილნი არიან ჰააგაში საბჭოთა მთავრობისათვის სესხის მიცემის შესახებ, საფრანგეთის წარმომადგენელმა ჩამოაყალიბა საკითხი (გამოტოვებულია) — განაცხადა, რომ ინგლისი თანახმა იქნება აღუთქვას რა სესხის გარანტიები, რომელსაც მისცემენ კერძო პირები, თუ საბჭოთა მთავრობა მისცემს გარანტიას და თუ სამი კომისიის მუშაობა წარმატებით გათავდება.

### გერმანიის ამბების შესახებ

**მოსკოვი.** 29 ივნისი. მემარცხენე პარტიათა ზეგავლენით გერმანიის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ (დამახინჯებულია) რატენაუს მკვლელობით გამოწვეული მღელვარება არ ცხრება.

— სამი მუშათა პარტიის მონაწილეობით გაიმართა გრანდიოზული მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მსხვილ წარმოებათა მუშათა დელეგატები. და მიმართა რეიხსტაგს მოთხოვნილებით, რათა დაუყოვნებლივ იქნეს გაშვებული რეიხსტაგი, დატუსაღებულ იქნეს გინდენბურგი და შედგენილ იქნეს მუშათა მთავრობა.

### ირლანდიის საკითხი.

**მოსკოვი.** 29 ივნისი. გუშინ ინგლისის პარლამენტში დამთავრდა კამათი ირლანდიის საკითხის გარშემო, დიდი ხნის უმრავლესობით წინააღმდეგ 75 ხმისა მთავრობას გამოუცხადეს ნდობა, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ირლანდიის ხელშეკრულება არ არის (დამახინჯებულია)... ლოიდ ჯორჯმა იმედი დაჰკარგა ირლანდიის პარლამენტის მოქმედებით, რომელმაც გამოიჩინა დაუშვებელი სისუსტე, რომელსაც საჭიროა ბოლო მოეღოს.

### რუსეთ-სპარსეთის დამოკიდებულება

**მოსკოვი** 29 ივნისი. მოსკოვში ჩამოსულმა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს თანამშრომელს რუსეთ-სპარსეთის დამოკ. შესახებ შემდეგი აცნობა: როდესაც შარშან რუსეთის საელჩო ჩავიდა სპარსეთში, ამ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა სამწუხარო. იყო ხელისუფლება იყო ერთ პატარა პირთა ჯგუფის ხელში, რომელიც ემორჩილებოდა ინგლისების სურვილებს. სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობა არა ნაკლებ უნუგეშო იყო.

რუსებისადმი დამოკიდებულება პირდაპირ მომაკვდინებელი იყო, მაგრამ საელჩოს მეგობრულად შეხვდნენ სპარსეთის მუშათა მასები, რომელნიც არჩეულნი იყვნენ მეჯლისში. ინგლისის გავლენა თანდათან სუსტდებოდა. გაუქმებულ იქნა ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულება და რუსეთის რევოლიუციის პრესტიჟი ამაღლდა ამ ჟამად. მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც ორივე მხარეს მოუტანს სარგებლობას.

### „სმენა-ვეხოვცების“ მოხსენება.

**მოსკოვი.** 29 ივნისა. 27 ივნისს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში წაკითხულ იქნა მოხსენებები სმენა ვეხოვცების კლიუჩნიკოვის და პოტეხინის მიერ. მოხსენებების თემა თეთრ გვარდიელთა ემიგრაციის დაშლა და სმენავეხოვცების მიმდინარეობის ემიგრანტთა შორის.

### საბჭოთა რუსეთის კანონები.

**მოსკოვი,** 29 ივნისი. ბელორუსიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კანონების კოდექსის, ვალდებულებათა და ვექსილთა დებულების ცხოვრებაში გატარების შესახებ ბელორუსიის პირობებთან შეფარდებით.

### საერთო—სამოქალაქო გადასახადი

**მოსკოვი.** 27 ივნისი. 24 ივნისისათვის რუსეთის მთელ საბჭოთა რესპუბლიკაში შემოვიდა საერთო—სამოქალაქო გადასახადი 615 351.000 მანეთი—1922 წლის ფულის ნიშნებით.

### პურის სესხი.

**მოსკოვი.** 27 ივნისი. ხარკოვიდან მიღებული ცნობების თანახმად უკრაინის სახალხო ბანკის კანტორაში არსებული ობლიგაციების რიცხვი ამ დღეებში საგრძნობით იქნება დაფარული, კანტორამ, შუამდგომლობა აღძრა გაადიდონ უკრაინისათვის პურის სესხის ობლიგაციების რაცხვი.

### მრეწველობა პეტროგრადში

**მოსკოვი.** 27 ივნისი. ნევის ძაფის ფაბრიკა და ნევის ქაღალდის—საქსოვი ფაბრიკა დიდი ხნის შეჩერების შემდეგ ამუშავებულ იქნა.

### ბრიანსკის ქარხანაში

**მოსკოვი.** 27 ივნისი. ბრიანსკის ქარხანაში ამუშავებულ იქნა, 4 წლის განმავლობაში გაჩერებული მარტენოვის ღუმელი, რომელიც, იტევს 60 ტონს. ამ ღუმელის ამუშავება გაადიდებს ლურსმანის დამზადებას თვიურათ 35,000 ფუთით.

### უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა და ოსმალეთი.

**მოსკოვი** 27 ივნისი. მოხდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის და ოსმალეთის შორის. ოსმალეთის [illegible] ყრილობის წარმომადგენლობამ ინახულა უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე რაკოვსკი, რომელთანაც მას ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა.

### სათათრეთის რესპუბლიკის წლის თავი

**მოსკოვი.** 27 ივნისი. 26 ივნისს, სათათრეთის რესპუბლიკის წლის თავზე გაიმართა საზეიმო სხდომა სათათრეთის აღმასკომის მე-4 სესიისა. ლენინისათვის კალინინისათვის, და ეროვნულ უმცირესობათა სახალხო კომისრის სტალინისათვის მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შემდეგ, გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სათათრეთის რესპუბლიკაზე მოვლინებული სიმშილობის ეპიდემიამ, გამოიწვია მიზან-შეწონილი ბრძოლა მის წინააღმდეგ, რომელმაც განუმტკიცა ხალხს რწმენა პროლეტარული რევოლიუციისადმი.

### საბჭოთა მართლმსაჯულება.

**მოსკოვი.** 27 ივნისი, სარატოვის რევტრიბუნალი არჩევს ერთი ეპისკოპოსის და შვიდი დეკანოზის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ ქრთამის აღება და ბნელი საქმეების ჩადენა ქორწინებათა გაყრის საქმეში.

# ახალი ამბები

— **ქალაქის წარმოებანი.** სტატისტიკურმა ბიურომ შეიმუშავა ცნობები ქალაქის წარმოების შესახებ მაისის განმავლობაში.

— **სანიტარული აგენტები.** სანიტარული აგენტების შესანახავად, რომელნიც დაიწყებენ მუშაობას 1 ივლისიდან სანიტარული წესების დაფართოებისათვის, ტფილისის აღმასკომმა გადასდო 60 მილიონი მან. თვიურათ.

— **სან. მინდიაშვილის იუბილე.** მბეჭდავი სანდრო მინდიაშვილის 50 წ. იუბილეს გამო, ტფილისის აღმასკომმა გადასდო ათი მილ. მან.

— **საბჭოთა სახლების მმართველობის რევიზია.** ტფილისის აღმასკომისაგან საბჭოთა სახლების რევიზიაში დაინიშნა ამხ. გიგო კიკნაძე.

— **ტფ. ქალ. აღმასკომის ფინანსიურ განყოფილების რეორგანიზაცია.** ფინანსიური განყოფილების გამგეს ამხ. თედო დონტს დაევალა ხსენებულ განყოფილების რეორგანიზაციის გეგმის წარდგენა ტფილ. აღმასკომში.

— **ფოთის ნავთსადგურში.** 24 ივნის შემოვიდა გემი „ნადეჟდა“ და „ელისავეტა“ 3700 ფუთი საქონლით და 48 მგზავრით. სოხუმიდან შემოვიდა „ფელიქსი“ 65 ფ. საქონლით და მგზავრით. 25 ივნის გავიდა „ფელიქსი“ 5,570 ფ. საქონლით და 11 მგზავრით.

— **სოხუმის ნავთსადგურში.** უკანასკნელ ხანში აქაური ნავთსადგური გამოცოცხლდა. ნავთსადგურში მუდამ სდგას სხვა და სხვა ქვეყნის გემები.

## სახალხო კომისართა საბჭოში

— **აკადემიურ ულუფების მოსპობა.** უკანასკნელ სხდომაზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შეწყვეტილ იქნას ხელოვნებისა და მეცნიერების მუშათათვის აკადემიური ულუფის მიცემა, რის ნაცვლად განათლების სახალხო კომისრის განკარგულებაში გადაიდო ნახევ. მილიარდი მან. მათთვის ფულით დახმარების აღმოსაჩენად. გარდა ამისა გადაწყვეტილ იქნა განათლების დარგში მომუშავეთათვის ჯამაგირების გადიდება და სათანადო პროექტის შედგენა მიენდო საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სატარიფო საბჭოს.

— **შენობების მუნიციპალიზაციის უფლება.** ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტის შუამდგომლობის გამო, შინაგან საქმეთა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტისათვის ზოგიერთ შენობათა მუნიციპალიზაციის უფლების მიცემის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა ეს საკითხი თავის უკანასკნელ სხდომაზე და დაადგინა: არ მიეცეთ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს ასეთი უფლება, თუ ამაზე წინასწარი ნებართვა არ იქნება ყოველ ცალკე შემთხვევაში საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მხრით. ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტს კი წინადადება მიეცა წარმოადგინოს აღნიშნულ შენობების სია დასტურისათვის.

— **დეკრეტში ცვლილების შეტანა.** ფინანსთა სახალხო კომისრის შუამდგომლობით სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ დაინახა საქართველოს რევკომის დეკრეტში № 54, აჭარისტანის ავტონომ. შესახებ შეტანილ იქნას შესწორება განსაკუთრებით იმ მუხლში, რომელიც ეხება აჭარისტანის ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შესწორებით აჭარისტანის ფინანსთა სახალხო კომისარი გადაკეთებულ იქნება ფინანსიურ აგენტად, რომელიც საქართველოს ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულის საშუალებით დაექვემდებარება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს. სახალხო კომისართა საბჭოს ეს დადგენილება წარედგინება ამ მოკლე ხანში საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად.

— **რუსეთის ბანკის განყოფილება.** სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს: გამოსძებნოს შესაფერისი ბინა და დაუთმოს რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ტფილისში.

— **კრედიტის გახსნა.** სახალხო განათლების კომისარიატს გაეხსნა 15 მილიარდი მან. რაოდენობის კრედიტი მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში.

— **მუსულმანთა საბჭო.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, გაუქმებულ იქნა მასთან არსებული მუსულმანთა საბჭო.

— **ნაქერალის გზატკეცილი.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით რაჭის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს მიეცა 600 მილ. მან. ნაქერალის გზატკეცილის გასაკეთებლად.

— **პროექტების დამტკიცება.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა დადგენილებების პროექტები: ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ადგილობრივი გადასახადების განყოფილების დაარსების და ქალაქის და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტების ხარჯთ აღრიცხვების დამტკიცების შესახებ და დეკრეტი მონადირეობის შესახებ.

— **ოზურგეთის რკინის გზა.** სად. ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზის გამოსაყვანად სარკინისგზო კომიტეტს მიეცა 99,000 მან. ოქროთი. აღნიშნული თანხა გაცემულ იქნება ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ორ ვადაზე.

— **გაზეთების კოლექცია.** მწიგნობარმა გადილამ წინადადებით მიმართა განათლების სახალხო კომისარიატს შეისყიდონ მისგან რესპუბლიკის რომელიმე მუზეუმისათვის მის მიერ მრავალ წლობით შეგროვილი ქართული ჟურნალ-გაზეთების კოლექცია. განათლების კომისარიატმა თავის მხრით აღძრა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბ-

ქოს წინაშე, რათა შესყიდულ იქნას ეს იშვიათი ღირებულების კოლექცია.

— თეთრგვარდიელ ოფიცერთა მიღება პროფკავშირებში. იმ საკითხის შესახებ, შეიძლება თუ არა თეთრგვარდიელ ოფიცრების მიღება პროფკავშირებში, პროფკავშირთა საორგანიზ. განყოფილება წინადადებას იძლევა ახელმძღვანელონ შემდეგით: ყოფილი ის ოფიცრები, რომლებიც ეხლა მსახურობენ საბჭოთა დაწესებულებებში და გამოსულან შეგნებით და აქტიურად ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად, არ შეიძლება მიღებულ იქნენ პროფკავშირებში სხვა მშრომელთა საერთო საფუძვლებზე, მათი მიღება შეიძლება მხოლოდ პერსონალურად, ესე იგი, კერძო პირები მათგან, რომლებიც დამტკიცებულ იქნებიან პროფკავშირთა საბჭოს ან პროფბიუროს მმართველობის მიერ, შეიძლება მიღებულ იქნენ ხელმძღვანელ ორგანოებში შემდეგ პირობების შენახვით: 1) უკეთუ არა ნაკლებ ერთი წლისა უმსახურნიათ საბჭოთა დაწესებულებებში, 2) უკეთუ ადიარებენ წესდების ყველა მუხლებს, 3) უკეთუ წარმოადგენენ ორ რეკომენდაციას პროფკავშირთა აქტიურ წევრთაგან, რომლებიც პირადად ცნობილნი არიან პროფკავშირთა საბჭოს ან სამაზრო პროფბიუროს მიერ.

— კრების გადადება. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველოს მიერ კვირას, 2 ივლისს, დანიშნული წლიური კრება გადადებულია. კრების დანიშვნის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

— ეპიდემიური ავადმყოფობა. 16 დან 25 ივნისამდის რესპუბლიკაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტ. ეპიდ. განყოფილების ცნობებით, გატარებულია ალრიცხვაში შემდეგი ეპიდემიური დაავადმყოფებული- სენაკის მაზრაში ყვავილით დაავადმყოფდა 1. გორის მაზრაში დაავადმყოფდა (1-დან 22 ივნისამდის) პარტახტიანი ტიფით 29 და ხოლერით 4 (შემთხვევები ხოლერით დაავადმყოფების ხაშურში, მაგრამ ბაქტერიოლოგიურად ჯერ ეს დამტკიცებული არ არის). დუშეთის მაზრაში—პარტახტიანი ტიფით დაავადმყოფდა—1, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში მოთავსდა შემდეგი ავადმყოფები: პარტახტიანი ტიფით—62, ყვავილით—14 და ხოლერით 8, (8 ხოლერიანში 6 სიკვდო) და ტფ. რკინის გზის საავადმყოფოში 25 პარტახტიანი ტიფით.

— ქალაქის მეურნეობა. ქალაქის მიწებზე უკვე შეუდგნენ ხორბლის მოსავლის შეკრებას. ქერის მოსავლის შეკრება მიმდინარეობს წარმატებით. ნატურგადასახადი ტფ. ქალაქის აღმასკომისა შემოდის სავსებით. მიღება ამ გადასახადის მოწყობილია ქალაქის საწყობში,

— სამკურნალო სეზონის გ ხ ნა. სამკურნალო სეზონის გახსნა რესპუბლიკის კურორტებზე დანიშნულია 5 ივნისს.

## სამხატვრო ქრონიკა

სახალხო მუსიკის საღამო. დღეს წითელ არმიელთა კლუბში (ყოფილ ქართულ კლუბში) იმართება საინტერესო ორიგინალური სახალხო მუსიკის საღამო კონცერტი, მიხეილ კავსაძის „სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდის მიერ. წაკითხულ იქნება მოხსენება „სახალხო მუსიკა“, შესრულებული იქნება 30 კაცისაგან შემდგარ გუნდის მიერ ძველი სახალხო მუსიკოსების სიმღერები, შესრულდება სცენა სოფლის ცხოვრებიდან სიმღერა—ფერხულ-თამაშით და სხვა... მთელი შემოსავალი მოხმარდება გუნდის მუდმივ არსებობისათვის.

— რედაქციამ მიიღო „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (საგანგებო სესიის აპრილის თვის 1922 წ.) სტენოგრაფიული ანგარიში. წიგნი დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქაღალდზე და შეადგენს 103 გვერდს.

## პარტიაში

მბეჭდავ მუშების კრება. ორშაბათს 3 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, პარტიის ცენტრალურ ბიუროს ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ.) დანიშნულია მემარც. სოც.-ფედერალისტთა მბეჭდავ მუშების ფრაქციის კრება. დღიური წესრიგი: მომავალი სრულიად საქართველოს მბეჭდავ მუშთა ყრილობა. ამხანაგების დასწრება სავალდებულო და აუცილებელია.

—

— არჩილ ჯორჯაძის სურათები. დამზადებულია გულზე საქარებლად ემალის სურათები არჩილ ჯორჯაძისა, რომლის მიღება შეიძლება პარტიის მთავარ ბიუროს ბინაზე საქალაქო კომიტეტის მდივნთან და გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციაში.

## სახალხო მუსიკა

ყველას კარგად მოეხსენება, რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს ერთ-ფეროვან მუშა-მოსამსახურეების ცხოვრებაში მუსიკას, სიმღერა-გალობას. ხელოვნების ერთ-ერთი დარგთაგანი, რომელიც არის მუსიკა, წარმოსდგება ძველ დროიდამ. როგორც ძველად, ისე ამ დროსაც, მუსიკა, სიმღერა-გალობა არის აუცილებელი საგანი ხალხისათვის და განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურისათვის; ამიტომაცაა, რომ ქართველ ხალხს შეუქმნია: ჭირის, ლხინის, ლაშქრის მუშაობის, ცეკვის, მხიარულობის და სხვა მრავალფეროვანი ათას ფერად აჭრელებული, ზოგი ცოცხალი (დასავლეთ საქართველოში) და ზოგიც დინჯი, დარბაისლური, რაინდული (აღმოსავლეთ საქართველოში) მდიდარი და დაუშრეტელი სახალხო სიმღერა-საგალობელნი, მაგრამ რა გამოვიდა... მათ პატრონი ბევრი არა ჰყავთ და ვინც არიან ცოტა, ე. ი. ამ სიმდიდრეს უნდა გარეთ გამომზეურება, ისე კი არა, როგორც ეხლა სჩვევიათ ზოგიერთ მუსიკოსებს „დამუშავებულად“, რომელნიც არც ქართული და არც ევროპიული, არამედ უნდა იყვეს ორიგინალურად, ხალხურად, რომ მასამ, ხალხმა გაიგოს და ადვილად გავრცელდეს მუშა-მოსამსახურეებში, მდაბიო ხალხში, ახალ-გაზრდობაში და ჯარში. სახალხო მუსიკის ალდოს, ეხლანდელ გადაგვარებულ ხანაში, თუ ჟღერს ისევ მუშა-მოსამსახურე, და არა სხვა ვინმე, ვინაიდგან სახალხო მუსიკა წარმოსდგება მუშასაგან და მუშა კიდევ ხალხისაგან. ჩვენ ჩვენი გამოცდილებითაც ვიცით, რომ საქართველოში სახალხო გუნდების შემადგენლობა, თუ კი არსებობდა და არსებობს სადმე (ეხლანდელ პირობებში ძნელია მუდმივად, რადგანაც მათთვის არავის სცალიათ) მოქმედებული წილი იყო და არის მუშებისაგან და თუ არა ეს მუშები და წვრილი მოსამსახურე ხალხი, დღეს მოსპობილი იქნებოდა სახალხო სიმღერა-გალობა.

მუშა-მოსამსახურეების ესტეტიური და ზნეობრივი გრძნობების განსავითარებლად, აუცილებელია და დროც არის, შევყუროთ ვისმეს, ისევ ჩვენ სახალხო მომღერალნო, მოვაგვაროთ ჩვენი საყვარელი საქმე, ყველა ვისაც სიყვარული და პატივისცემა გვაქვს მუსიკისადმი, სახალხო სიმღერა-გალობისადმი, ჩავდგეთ სახალხო გუნდების რიგებში, ვისწავლოთ ძველ ხალხისაგან მდიდარი მასალები და გავავრცელოთ, შევკრათ ერთი დიდი და მთლიანი კავშირი, არამც თუ დროებით, არამედ სამუდამო არსებობისათვის, როგორც სახალხო გუნდის, ისე სახალხო მუსიკისათვისაც.

მიხეილ კავსაძე.

## მიშა ბერიძის ხსოვნას.

ჭეშმარიტად ამ პირზედ ნეკროლოგის დაწერა კალამსაც ემძიმება... მე პირადათ დიდხანს ვერ შეურიგდები იმას, რომ მიშა დაიკარგა ასე უდროვოთ, ასე ანაზდეულათ. ვფიქრობ და რაღაც იდუმალი გრძნობა იტაცებს ჩემს არსებას... ნუ თუ ყველა კარგი, პატიოსანი და დიდებული მუშაკი უნდა დავკარგოთ ჩვენ... როცა გადავხედავ ჩვენი პარტიის მატიანეს ვიტყვი, რომ პარტია ქმნიდა დიდებულ მუშაკთ, სპეტაკ პიროვნებათ მხოლოდ შეუმჩნეველი შრომისა და უდროვო სიკვდილისათვის!!! ერთ ასეთ პიროვნებათ მე ვთვლიდი უბადლო ამხანაგს მიშა ბერიძეს.. მიშა არ იყო მწერალი ან გამოჩენილი მოაზროვნე; მას თვით პარტიაშიც არ იცნობდა ბევრი, მაგრამ მისი გამოუჩენლობა იყო მისი სათნო ხასიათის და მარტივი თავდაბლობის ბრალი. თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებიდან მიშა ითვლებოდა საუკეთესო პროფესიონალურ მოღვაწეთ; ჩვენი მუშების ორგანიზაციულ დარაზმვაში და პროფესიონალურ მოძრაობის გათვითცნობიერებაში, მას პირველი ადგილი ეჭირა... ეს ხუთი წელი შესრულდა, რაც მიშა ბერიძე ფარმაცევტთა პროფკავშირში მუშაობდა და სანამ ის უდგა ამ დარგს დარაჯათ, მანამ კავშირიც მართლა თითით საჩვენებელი იყო... მიშა ბერიძე ორგანიზატორი, მდივანი, მომხსენებელი, კანცელიარისტი, კომისიების ხელმძღვანელი, კოლექტიურ ხელშეკრულებათა რედაქტორი, კონფლიქტების მომწესრიგებელი, თავმჯდომარე, ერთი სიტყვით უნივერსალი მოღვაწე საპროფესიო დარგისა... მას ისე უყვარდა პროფკავშირი, ისე აინტერესებდა მისი ბედი, რომ მისთვის ხშირად პარტიულ დისციპლინასაც და კიდევ მეტი, პირად ბედნიერებასაც სწირავდა... მას ქონდა შემთხვევა გამხდარიყო ძლიერ მდიდარი კაცი; მაგრამ მან კავშირში მოღვაწეობა, მშრომელთათვის ზრუნვა არჩია პირად უზრუნველყოფას... ის იმდენათ ჯენტლმენი, თავაზიანი და სათნო იყო, რომ მე არ ვიცი იყო თუ არა, ან მოსამსახურე ან დამქირავებელი ფარმაცევტი, რომ მიშასაგან განაწყენებული ყოფილიყოს... უმისოთ ვერც ერთი გაბატონებული პარტიის წარმომადგენლები ვერ ახერხებდა ხელმძღვანელობას ვერც კავშირის, ვერც ფარმაციის და აფთიაქების ადმინისტრაციისას... მას ყველა, ჰკვიანათ შრომის მოყვარეთ, დინჯათ, ფრიად ზრდილ და უნცროს პიროვნებათ იცნობდა... თავის საქმის კი ნამდვილი ვირტუოზი იყო... ამგვარი, სოციალ.-ფედერალისტთა პარტიამ ამ ორი წლის წინათ დაჰკარგა განსვენებული ტატე ავალიშვილი და მეორე იყო მიშა და დაიკარგა ესეც ასე უდროვოთ, ახალ გაზრდა სულ 30 წლის ვაჟ კაცი.

მითხრეს მიშა დიდი პატივით დაასაფლავესო... ჭეშმარიტად დიდი პატივის ღირსი იყო ჩვენი პროფესიონალური ბელადი ყველა პარტიულ და ჯგუფურ წვრილმანეობაზე მაღლა მდგომი მიშა და ალბათ მისმა პროფესიონალურმა მემკვიდრეებმაც მისგან ისწავლეს ასეთი პატივმოლვაწესადმი..

მე კი შენი დაკარგვით გულ დათუთქული და გონება გაღადრული შორიდან მუხლს ვიყრი შენი ცხედრის წინაშე დაუვიწყარო, ყველასათვის დაუვიწყარო მეგობარო... შენ არ მოკვდები, იარსებებ მანამდი, სანამ საქართველოში იარსებებს ფარმაცია და მისი მუშაკნი... შენი სათნო, თბილი და ტკბილი გული კი თვით იმ ნესტიან შავმიწასაც გაათბობს, რომელშიაც შენი ლამაზი სახეც დღეს გახვეულია, უბადლო ამხანაგო.

შენი მარად პატივცემული ახანაგი კაპიტონი.

## მალარიის საწინააღმდეგო კონფერენცია.

— მალარიის საწინაღმდეგო კონფერენციის სხდომები დაიწყო ივნისის 27 საღამოს. მონაწილეობას ღებულობს 40-ამდე წევრი. მათ შორის არიან წარმომადგენლები ამიერ კავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა, რუსეთის, მოსკოვის ტროპიკულ ავადმყოფობათა ინსტიტუტის, საქართ. მედიკო-სანიტარულ მუშათა მოსამსახურეთა კავშირის, კავკასიის ყველა მალარიის საწინააღმდეგო ორგანიზაციების და სადგურების და სხვ.

პირველი სხდომა გახსნა საქართველოს რესპუბლიკას ჯანმრთელობას სახალხო კომისარმა ექიმმა კუჯაიძემ, რის შემდეგაც იყო მისალმებანი: ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარესი ექიმი ნ. ა. სახაროვისა, რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ტროპიკულ ავადმყოფობათა ინსტიტუტის წარმომადგენლის პროფ. ე. ი. მარცინოვსკისა, ამიერ კავკასიის რკინის გზათა საექიმო ნაწილის წარმომადგენლისა და სხვ.

პრეზიდიუმში აირჩიეს: საპატიო თავმჯდომარეებად: საქართ. ჯანმრთელობის სახ. კომისარი ექ. კუჯაიძე, საბჭოთა სომხეთის ჯანმრთ. სახ. კომისარი ექ. მარკარიანი და საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ექ. სახაროვი; თავმჯდომარედ-პროფ. მარცინოვსკი, მის ამხანაგებად პროფესორები—შიროკოგოროვი და ამირაჯიბი; მდივნებად: ექიმები—ჯუღელი, ზედგინიძე, ისაევი და იალანჩიკი. სხდომები დანიშნულია 10-დან 2 საათამდე და 7-დან 12 საათამდე და გაგრძელდება სამ დღეს.

კონფერენციას გახსნას დაესწრო ბევრი ექიმები და მალარიით დაინტერესებული პირები.

დილას სხდომა ექ. კუჯაიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა მისალმებით საქ. მედიკოსანიტ. მუშამოსამს. კავშირის წარმომადგენლის ექ. დავითიანისა და სომხეთის ჯანმრთ. სახ. კომისარის ექ. მარკარიანისა.

**კოლო და მის წინააღმდეგ ბრძოლა.** კონფერენციის გახსნის დღეს მისასალმებელ სიტყვებისა და პრეზიდიუმის რჩევის შემდეგ, ენტომოლოგმა ფ. ზაიცევმა გააკეთა მოხსენება „ფაუს გამოკვლევის საკითხის შესახებ და კოლო ამიერ-კავკასიაში“.

**ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ.** ს. ს. ს. რ. მოხსენებით ხსენებული რესპუბლიკის ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ გამოვიდა პროფ. ი. შიროკოგოროვი. მან აღნიშნა, რომ მალარია ადერბეიჯანში იწვევს მოსახლეობის თანდათან გადაშენებას და დაღუპვასო. მომხსენებელმა მოიყვანა სტატისტიკური ცნობები მალარიის გავრცელების შესახებ და აღნიშნა ის გარემოება, რომ ზოგ ადგილებში მცხოვრებთა ნახევარი დაავადმყოფებულია მალარიით.

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მომხსენებელმა წარუდგინა კონფერენციას შემდეგი გეგმა:

1) უზრუნველყოფა მოსახლეობის ქინაქინით და ამ საქმეში ამერიკული კომიტეტის დახმარება, რომლისაგანაც უკვე მიღებულია სიტყვიერი თანხმობა.

2) გაგზავნა სამკურნალო რაზმების, სადაც მალარიას ფართო ხასიათი აქვს მიღებული.

3) გაგრძელება საექსპედიციო მუშაობისა მალარიის რაიონების გამოკვლევისათვის.

4. მოწესრიგება და შენახვა ამბულატორიების მალარიით დაავადმყოფებულთათვის ქ. ბაქოში და სხვა ადგილებშიაც.

5) ორგანიზაცია მალარიის კურსების ექიმთათვის.

6) მოწყობა მალარიის პოპულიარული მუზეუმისა და გამოფენის.

7) გამოცემა პოპულიარული სტატიების და ცნობების მალარიის შესახებ, ხალხში ცოდნის გავრცელებისათვის.

8) გამოცემა შრომების მალარიის შესახებ ...

9) მალარიის სადგურის საფუძვლის ჩაყრა.

ამ გეგმის განხორციელებისთვის საჭირო იქნება დაახლოვებით 97 მილიარდი მანეთი და 75 მილიარდი ქინაქინის შესაძენათ.

სომხეთის წარმომადგენელმა მარკარიანმა აღნიშნა, რომ ამ ეპიდემიასთან საბრძოლველი საშუალებანი არ მოგვეძებნება, ამისათვის საჭიროა მარტო 2,500 კილო ქინაქინა, მან აღნიშნა, რომ მალარიის საკითხი უნდა დაისვეს ამიერ კავკასიის მაშტაბით და სომხეთს დააკმაყოფილებს მეოთხედი წილი იმისა, რაც სულ დაჭირდება ამიერ კავკასიას.

**მოსახლეობის გადაშენება მალარიისგან.** ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის კომისარიატის მალარიის სექციის გამგე პროფ. ს. ვირსალაძემ აღნიშნა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო პრინციპები და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს ქინაქინით უზრუნველყოფა, ჭაობების ამოშრობა და სხ. ფართო ზომების მიღება (კი) შეუძლებელია უსახსრობის გამო. მომხსენებელმა აღნიშნა მალარიის შედეგების დამღუპველობა მოსახლეობისათვის და მოიყვანა შემდეგი ცნობები: ომამდე საქართველოში წლიურად მალარიით დაავადებულთა რიცხვი უდრიდა 25.000 სულს 1921 წ. იგი გადიდა 300.000-მდე.

წელს მოსალოდნელია კიდევ მეტი რიცხვი მალარიით დაავადმყოფებულთა. საშუალებანი კი არ არის არც ქინაქინის საკმაო რაოდენობის შესაძენად, და არც ექიმთა მოსამზადებლად.

აჭარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბათომში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა უნუგეშო მდგომარეობაშია, რადგან ბათომი წარმოადგენს მუდმივი მიმოსვლის ცენტრს. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მალარიის სადგური მოშლილია და საერთოდ მდგომარეობა უნუგეშოა.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 29

**საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სატარიფო საბჭოს შესახებ.**

1. მოეწყოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან, შრომის სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით, სატარიფო საბჭოს შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სამი წარმომადგენლისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის თითო წარმომადგენლისაგან.

2. სატარიფო საბჭოს სხდომებზე, გარდა ამა დადგენილების პირველ მუხლში მუდმივი წევრისა, მიწვეულ უნდა იქნენ, სათათბირო ხმის უფლებით, წარმომადგენელნი იმ დაწესებულებისა, წარმოებისა ან მეურნეობისა და პროფესიონალური კავშირისა, რომელსაც განსახილველი საგანი შეეხება.

3. სატარიფო საბჭოს კომპეტენციაში შედის:

ა) დაწესება სატარიფო განაკვეთის მინიმუმისა, სატარიფო ზოლებისა და მთლად რესპუბლიკისათვის სავალდებულო სატარიფო ქსელის კატეგორიების შორის მინიმალური შეფარდებისა.

ბ) გადათვალიერება ყოველთვიურად სამუშაო სასყიდლის რაოდენობისა იმის მიხედვით, თუ რა ცვლილებას განიცდის ფასების ნუსხა სა-კვები პროდუქტებისა და მოხმარების საგნების შედგენილობისა.

გ) განხილვა თანამშრომელთა სამუშაო სასყიდლის ცვლილების შესახებ სახალხო კომისართა საბჭოში შესატანათ წინადადებათა იმ სახელმწიფო დაწესებულებებისა და მეურნეობის მიერ, რომელიც მოხსნილ არ არის სახელმწიფო მომარაგებისაგან.

4. ამა დადგენილების მესამე მუხლის „ა“ პუნქტში მოხსენებული დადგენილება სატარიფო საბჭოსი, შრომის სახალხო კომისარიატის წარდგენით, დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

5. მეთვალყურეობა სატარიფო საბჭოს დადგენილებათა ასრულებისათვის, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულისა, ისე თავისი კომპეტენციის ფარგლებში თვით საბჭოს მიერ გამოცემულისა, დაევალება შრომის სახალხო კომისარიატს.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი. **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივნისის 26.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 300    საქართ. ჯარ. შტ. სამ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.    ნ. დ. ს. ც.